ევროკავშირი
საქართველოსთვის

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

დეზინფორმაცია საქართველოში:

გამოწვევები და გამოსავლები



პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის, „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“, ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ავტორი: იდენ ქოული

ასისტენტი: ლია ჩხეტიანი

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

მთარგმნელი: თეონა ფირანიშვილი

ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, იდენ ქოული, „დეზინფორმაცია საქართველოში: გამოწვევები და გამოსავლები”, 2024*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

დეზინფორმაცია საქართველოში: გამოწვევები და გამოსავლები

სარჩევი

1. შესავალი 1
2. დეზინფორმაცია და პოლარიზაცია ქართულ საზოგადოებაში 2
3. დეზინფორმაცია - სოციალური მედიის პასუხი 5
4. დეზინფორმაცია - ეროვნული მონიტორინგი 7
5. საქართველო – ინიციატივები დეზინფორმაციის წინააღმდეგ 9
6. საერთაშორისო გამოსავლები 11
7. დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოების გამოწვევა 15
8. დასკვნა 16

პროპაგანდას, დეზინფორმაციას და ცრუ ინფორმაციის გავრცელებას შეუძლია საზოგადოებრივი აზრის პოლარიზება, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და სიძულვილის ენის წახალისება, რაც საბოლოოდ აზიანებს დემოკრატიას და ამცირებს დემოკრატიული პროცესების მიმართ ნდობას.[1]

ევროპის საბჭო, „თავისუფალი სიტყვის და უსაფრთხო სწავლების" კამპანია (2019)

1. შესავალი

დეზინფორმაციის კონცეფცია გულისხმობს არასწორ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილი და გავრცელებულია იმგვარად, რომ ზიანი მოუტანოს საზოგადოებას, ან გამავრცელებელს მოუტანოს პირადი სარგებელი.[2] დეზინფორმაცია და პროპაგანდა ბევრ სახელმწიფოში დემოკრატიული პროცესებისთვის საფრთხედ არის აღიარებული. დეზინფორმაციის აგრესიულმა გამოყენებამ, როგორიცაა მიკრო-ტარგეტირებული დეზინფორმაციის კამპანიები, deepfake ტექნოლოგიები, და ზეგავლენის მოხდენის ოპერაციები (influence operations), ეჭვქვეშ დააყენა ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი განვითარება, და აგრესიულად წამოსწია წინ ნარატივები, რომლებიც მიზნად ისახავს დემოკრატიული პროცესებისადმი, ინსტიტუტებისადმი და ინდივიდებისადმი ნდობის დაზიანებას. ზოგიერთ შემთხვევაში, დეზინფორმაციის გავრცელების მიზანი უბრალოდ ის არის, ადამიანები დააეჭვოს, იციან თუ არა ვინ ამბობს სიმართლეს კონკრეტულ საკითხზე, რაც პოსტ-სიმართლის პოლიტიკის მზარდ გავლენებს ეხმიანება.[3] სხვა შემთხვევებში მიზნად ისახავს, შეცვალოს ადამიანების მოსაზრებები და რწმენები. ამ სტრატეგიას იყენებენ გარე აქტორები საზოგადოების პოლარიზებისა და პოლიტიკური პროცესების მიმართ რწმენის დაკარვისთვის, ასევე, შიდა აქტორები - პოლიტიკური მოგებისთვის.

სოციალურ მედიაპლატფორმებზე დეზინფორმაციის გაზრდა ნეგატიურ გავლენას ახდენს პოლიტიკასა და საზოგადოებაზე ევროატლანტურ სივრცეში. შესაბამისად, სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს უწევთ, საფრთხეებზე საპასუხოდ შეიმუშაონშესაბამისი გამოსავლის გზები. კერძოდ, სახელმწიფოებმა შეიმუშავეს სხვადასხვა ქცევის წესი და სახელმძღვანელო პრინციპი, არასამთავრობო სექტორმა, დეზინფორმაციის დოკუმენტირებისა და რეაგირებისათვის, შექმნა ქსელები მსგავსი ფასეულობების ორგანიზაციებთან რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. კერძო სექტორში მომუშავე კომპანიებმა ასევე უპასუხეს ამ ნეგატიურ განვითარებებს და ამ საკითხებზე მუშაობა დაიწყეს მეინსტრიმულმა მედიაორგანიზაციებმაც. ისინი ასევე ცდილობენ განავითარონ შიდა შესაძლებლობები დეზინფორმაციის გამოსავლენად. სამოქალაქო საზოგადოებისა და არაკომერციული ორგანიზაციები მთავარ როლს ასრულებენ დეზინფორმაციის წინააღმდეგ

[1] Council of Europe. *Dealing with Propaganda, misinformation and fake news.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/pw9S5Dib. განახლებულია: 25 მარტი. 2024.
[2] Colomina, C., Margalef, S., Youngs, R. (2021). *The impact of disinformation on democratic processes and human rights in the world*. The European Parliament, p. 5. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/gw9Dr5V6. განახლებულია: 25 მარტი. 2024.
[3] Dorosh, L., Astramowicz-Leyk, T. and Turchyn, Y. (2021). *The impact of post-truth politics as a hybrid information influence on the status of international and national security: the attributes of interpretation and the search for counteraction mechanisms,* p 5. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Gw9C75ww. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ იდეალური გამოსავალი არავის უპოვნია, კოლექტიური ძალისხმევა ხელს უწყობს დეზინფორმაციის გავრცელების და გავლენების შეზღუდვას.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველო საგრძნობლად დაზარალდა დეზინფორმაციის გაზრდით. მოსახლეობაში დეზინფორმაცია ემსახურებოდა საზოგადოების პოლარიზებას, და მიემართებოდა ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებს და სხვადასხვა პერსონას მმართველი პარტიის გარეთ. პრობლემა იმდენად მასშტაბური გახდა, რომ ისეთმა მსხვილმა სოცმედია ორგანიზაციებმა, როგორიც არის მეტა-ს ფეისბუქი, ცალმხრივად მიიღეს ზომები დეზინფორმაციის გამავრცელებელი ანგარიშების მიერ განხორციელებული არაავთენტური აქტივობების წინააღმდეგ. საბოლოოდ, დეზინფორმაციის გამოწვევაზე საქართველოს პასუხმა შეიძლება გადაწყვიტოს არა მარტო მისი დემოკრატიული განვითარების ბედი, არამედ მისი მომავალიც ევროპის შიგნით თუ გარეთ.

ეს მცირე სტატია აღწერს საქართველოში დეზინფორმაციის სხვადასხვა გამოწვევას და საერთაშორისო დონეზე დეზინფორმაციის წინააღმდეგ გამოყენებული სხვადასხვა გამოსავლის შესაძლებლობებს.

2. დეზინფორმაცია და პოლარიზაცია ქართულ საზოგადოებაში

დეზინფორმაციის გავრცელება მნიშვნელოვანი საფრთხეა დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის, რადგან ის არღვევს პოლიტიკური პროცესებისადმი ნდობას, ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩას, და აძლიერებს პოლიტიკურ პოლარიზაციას, განსაკუთრებით ონლაინ სივრცეში.[4]

პოლიტიკური პოლარიზაცია ქართული პოლიტიკური ლანდშაფტის აღიარებული მახასიათებელია. ინტენსიური მტრობა მთავარ პოლიტიკურ აქტორებს შორის და უდიერი მოპყრობა ერთმანეთის მიმართ, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის დეზინფორმაციის გავრცელებისთვის და ხელს უწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების ეროზიას.[5] 2021 წლის აპრილში, ევროსაბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მიერსაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებს შორის პოლიტიკურ შეთანხმებაში მედიაციის აუცილებლობა, - და შემდეგ მისი გუნდის მიერ ციხეში მყოფი ქართველი პოლიტიკოსის გასათავისუფლებელი გირაოს გადახდა ასახავს მთელი პოლიტიკური სისტემის პოლარიზაციას, ისევე როგორც შემდგომში „ქართული ოცნების“ მიერ შეთანხმების ნაწილის უარყოფა.[6]

დეზინფორმაციის, ყალბი ინფორმაციის და ზეგავლენის მოხდენის ოპერაციების გამოყენება კვლავ რჩება ქართული პოლიტიკისა და საზოგადოების მახასიათებლად. მოქალაქეებს, ყვირილით - „უცხოეთის აგენტები“ - თავს ესხმიან დაჯგუფებები, საზოგადოებრივ ადგილებში კი განთავსებულია საჯარო პირების პლაკატები, წარწერით - „ეკლესიის მტრები“ და „უსამშობლო მოღალატეები“. ფსიქოლოგიური და ფიზიკური დაშინების ეს მიმდინარე ტალღა მეორდება ონლაინ რეჟიმშიც. ულტრამემარჯვენე ჯგუფების წარმოებული და გავრცელებული ამ მტრული ნარატივებიდან შემდგომში ბევრი გააქტიურეს და გააყალბეს

[4] დეზინფორმაციის გავლენა დემოკრატიულ პროცესებზე და ადამიანის უფლებებზე მსოფლიოში. გვ. 9.
[5] Waal T., Gegeshidze A. (2021). *Divided Georgia: A Hostage to Polarization.* Carnegie Europe. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/rw9Dg05A. განახლებულია: 25 მარტი. 2024.
[6] Civil Georgia (2021). ქართული ოცნება არღვევს ევროკავშირის მოლაპარაკებულ შეთანხმებას: ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/434256. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

ქართული ოცნების წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით, 2022 წელს რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდგომ პერიოდში.

დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში

საქართველოში დეზინფორმაციის ლანდშაფტს ძირითადად პრორუსული, მემარჯვენე აქტორები ქმნიან. მათ შორის არიან ღიად პროკრემლისტური, ულტრაკონსერვატიული პოლიტიკური პარტიები, მათ შორის საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, და ანტილიბერალური ულტრამემარჯვენე პოლიტიკური მოძრაობა ალტინფო.[7] მეტიც, ზოგიერთი მედიასაშუალება ასევე გვევლინება პრორუსული ყალბი ამბების გამავრცელებლად.[8] მიუხედავად იმისა, რომ სპუტნიკი საქართველო ერთადერთი მედიაორგანიზაციაა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული რუსეთის სახელმწიფო ორგანოებთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პრორუსული დეზინფორმაციის მომხრე სხვა აქტორებს ასევე აქვთ ფინანსური და პოლიტიკური კავშირები რუსეთთან.[9] ალტინფო თავდაპირველად ფეისბუქ გვერდის საშუალებით ოპერირებდა, მოგვიანებით სატელევიზიო არხად გაფართოვდა და კოორდინირებული, ანტილიბერალური და ანტიდასავლური დეზინფორმაციული კამპანიის გამავრცელებელ მნიშვნელოვან მოთამაშედ ჩამოყალიბდა. ალტინფო ასევეა დაკავშირებული რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალურ პროპაგანდასთან, რაც გამოიხატება მათ გადაცემებში რუსეთის პროპაგანდისტის, ალექსანდრე დუგინის ხშირი სტუმრობით, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების ღიად ოპონირებაში[10] და მუდმივად იმგვარი მოსაზრებების წინ წამოწევაში, რომლებიც ზუსტად იმეორებს რუსეთის ოფიციალურ სახელმწიფო პროპაგანდას.[11]

აღსანიშნავია, რომ ანტილიბერალურ, პრორუსულ და ეთნონაციონალისტურ ნარატივებს, რომლებიც თავდაპირველად მემარჯვენე ჯგუფებმა აწარმოეს, იმეორებს და ფართოდ ავრცელებს ქართული ოცნება, რამაც ხელი შეუწყო ამ დეზინფორმაციული გზავნილების „მეინსტრიმინგს“. ამ ფენომენის ნათელი მაგალითია „უცხოეთის აგენტების“ შესახებ კანონის მიღების მცდელობა, რომელსაც თან ერთვოდა კრემლის ნარატივების იდენტური საინფორმაციო კამპანია, და ამტკიცებდა, რომ დასავლეთი ცდილობს საქართველოს შიდა პოლიტიკაში ჩარევას, სავარაუდოდ, დამოუკიდებელი ადგილობრივი ჯგუფების საშუალებით.[12]

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა დელიკატური დილემაა, რადგან სახელმწიფოებსაც და კერძო ორგანიზაციებსაც, ის აძლევს შესაძლებლობას, შეზღუდონ გამოხატვის თავისუფლება ინფორმაციული სანდოობის დაცვის მიზნით. არადემოკრატიული პოლიტიკური ლიდერები ამაში ხედავენ პოტენციალს, ჩაახშონ განსხვავებული აზრი,

---

[7] დევდარიანი ჯ. და აძინბაია.ზ. (2019). რუსულ დეზინფორმაციაზე პასუხი: საქართველოს გამოცდილება, გვ. 21. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/yw9DTE1W. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[8] EUvsDisinfo (2021). *Pro-Kremlin outlets try to create an alternative anti-Western reality in Georgia.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/fw9Dmle5. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[9] იქვე.

[10] რუსულ დეზინფორმაციაზე პასუხი: საქართველოს გამოცდილება. გვ. 21.

[11] სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (2022*). „კონსერვატიული მოძრაობის/ალტინფო“-ს საქმიანობა საქართველოს რეგიონებში.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/hw9DOqRm. ბოლო ნახვა: 25 მარტი. 2024.

[12] პუბლიკა (2023). რა არის ქართული ოცნების ანტიდასავლური პროპაგანდა და რა არის სინამდვილეში? ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Sw9DXGlF. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

გაავრცელონ ალტერნატიული პროპაგანდა და, მეტიც, უთვალთვალონ თავიანთ ოპონენტებსაც.[13]

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ უახლეს ანგარიშში, „დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში - სახელმწიფოს მიდგომა და საპასუხო ზომები“ - საგანგებოდ არის მითითებული პოლიტიკური ნების არარსებობაზე დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით.[14] ანტიდასავლური, მადისკრედიტებელი და დეზინფორმაციული განცხადებები დასავლელი პარტნიორების, ელჩების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების და სტრატეგიული პარტნიორების წინააღმდეგ, ასაზრდოებს ევროატლანტიკური პარტნიორების მიმართ საჯარო სკეპტიციზმს, ყოფს საზოგადოებას და აძლიერებს რუსული დეზინფორმაციის გავლენას ქვეყანაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამოავლინა რამდენიმე ძირითადი პრობლემა, რომლებიც ამძაფრებს დეზინფორმაციის ნაკადებს. პირველ რიგში, მთავრობა არ თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან, რომლებიც დეზინფორმაციასთან ბრძოლაში ხელისუფლების მთავარი მოკავშირეები უნდა იყვნენ. მეორე მხრივ, არასაკმარისია მედიაწიგნიერების ხელშეწყობის ღონისძიებები. მესამეც, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საჯარო უწყებაში შეიქმნა შესაბამისი დეპარტამენტები დეზინფორმაციასა და კიბერუსაფრთხოებაზე სამუშაოდ, სახელმწიფოს მხრიდან დეზინფორმაციული გამოწვევის ზუსტი ანალიზი, უწყებათაშორისი კოორდინაცია და კონკრეტული სახელმწიფო ქმედებების ეფექტიანობა კვლავ პრობლემად რჩება. საბოლოოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ აღნიშნავს, რომ 2019 წელს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე საპარლამენტო სამუშაო ჯგუფის მიერ საჯარო უწყებებისადმი მიცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შეუსრულებელი რჩება.[15]

კვლევა პოლარიზაციაზე

საერთაშორისო საზოგადოების აზრით, პოლარიზაცია საქართველოს ახლანდელი პოლიტიკური ლანდშაფტის მახასიათებელია. Freedom House-ის 2022 წლის საქართველოზე წლიური ანგარიშის მიხედვით, პოლიტიკური პოლარიზაცია, ანტაგონიზმი და მმართველი პარტიის არალიბერალური ქმედებები აზიანებს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას.[16] მძაფრი პოლიტიკური პოლარიზება აშკარად ვლინდება უხეშ სიტყვიერ დაპირისპირებაში, მტრულ რეტორიკასა და დესტრუქციულ პოლიტიკურ სტრატეგიებში.[17]

პოლარიზაცია ასევე აისახება მედიაგარემოზეც. ნაწილობრივ, სუსტი მედია და მედიაწყაროების მრავალფეროვნების სიმცირე ხელს უწყობს პოლიტიკის გამოწვევების შესახებ მრავალფეროვანი შეხედულებების ნაკლებობას. საქართველოში მედია

---

[13] Giusti, S. and Piras, E. (2020). *Democracy and Fake News. Information Manipulation and Post-Truth Politics.* Routledge, p. 9.

[14] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (2023). დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში *სახელმწიფოს მიდგომები და კონტრზომები: ხელმისაწვდომია:* https://cutt.ly/iw9D06si. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[15] საგარეო ურთიერთობების კომიტეტი, საქართველოს პარლამენტი (2020). დეზინფორმაციისა და პროპაგანდის თემატური საგამოძიებო ჯგუფის ანგარიშის პრეზენტაცია. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Rw9D9lel. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[16] Freedom House (2022). *Georgia: Freedom in the World 2022 Country Report.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/ew9D3yJj. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[17] იქვე.

თავისუფლებაზე Deutsche Welle-ს 2023 წლის კვლევის მიხედვით, მედია სრულად არის პოლარიზებული და კონცენტრირებული პარტიულ-პოლიტიკურ დღის წესრიგზე.[18] მთავარ პრობლემებს შორის, რასაც მედია აწყდება, არის ჟურნალისტების უსაფრთხოება საქმიანობის დროს, სუსტი სარეკლამო ბაზარი, თვალთვალი და მუქარები ჟურნალისტების წინააღმდეგ.

კვლევაში აღწერილია გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების ვითარება საქართველოში, ქართველი მედიაპროფესიონალების გამოწვევებზე მითითებით. საქართველოს მედიაგარემოს აღწერისას, გამოკითხულთა 97.9% მთავარ პრობლემად ასახელებდა პოლარიზაციას, ასევე სახელმწიფოს მხრიდან მტრულ გარემოს და თვალთვალს, მუქარებს და თავდასხმებს (მათ შორის, ფიზიკურ თავდასხმებს) მედიაპროფესიონალების მიმართ, კრიტიკული მედიის ხელმისაწვდომობის პრობლემას ინფორმაციაზე (მათ შორის, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები), ჟურნალისტების უსაფრთხოების პრობლემას და სუსტ სარეკლამო ბაზარს, რაც მედიაორგანიზაციებს უფრო მგრძნობიარეს ხდის გარე გავლენების მიმართ.

კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ 2021-2022 წლებში, საქართველო განსაკუთრებულად დაქვეითდა მედიის თავისუფლების საერთაშორისო რეიტინგებში. ორგანიზაციის, „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ (RSF), რეიტინგი აჩვენებს, რომ საქართველო 29 ადგილით ჩამოქვეითდა პრესის თავისუფლების ინდექსში (მე-60 ადგილიდან 89-ე ადგილზე 180 ქვეყანას შორის).

დეზინფორმაცია და პროპაგანდა დასახელებულია დამატებით გამოწვევად, რომელიც გაძლიერდა უკრაინაში ომის დროს, საქართველოში პრორუსული ჯგუფების მომძლავრებით. ამ განვითარებებს თან ერთვოდა ანტიდასავლური ნარატივების გააქტიურება იმის შესახებ, რომ დასავლეთს საქართველოს ომში ჩათრევა სურს. „ქართული ოცნების“ მაღალი რანგის ოფიციალური პირები, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებს საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნის მცდელობაში ადანაშაულებდნენ, აქტიურად იმეორებდნენ ამ მესიჯს. მათ ასევე დაადანაშაულეს ქართული ოპოზიციური პარტიები, განსაკუთრებით კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (UNM) მთავრობის გადაგდების დაგეგმვაში და რუსეთთან კონფლიქტის წამოწყებაში. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ასევე მოინიშნა „ომის პარტიად“.[19]

პოლარიზებული გარემო დეზინფორმაციის გავრცელებისთვის ხელსაყრელ შესაძლებლობებს აჩენს, რადგან პოლარიზებული ამომრჩეველი უფრო მეტად მოწყვლადია პარტიული დეზინფორმაციული მესიჯების მიმართ, რადგან ისინი განამტკიცებენ პოლიტიკურ მიკერძოებებს და აძლიერებენ პარტიულ ერთგულებას.[20]

3. დეზინფორმაცია - სოციალური მედიის პასუხი

[18] Elena Zondler, Ekaterine Basilaia, Alexander Matschke, Evelin Meier (2023). *Media Freedom in Decline*. DW Akademie. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/aw9D88Wl. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[19] Civil Georgia (2022). კობახიძის თქმით, ენმ-ს სურს ომი საქართველოში და უკრაინაში, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/470247. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[20] Osmundsen, M., Bang Petersen, M. and Bor, A. (2021). *How partisan polarization drives the spread of fake news.* Brookings. ხელმისაწვდომია: https://www.brookings.edu/articles/how-partisan-polarization-drives-the-spread-of-fake-news/. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

სოციალური მედიის კომპანიებმა საქართველოში დეზინფორმაციაზე საპასუხოდ გარკვეული მოქმედებები განახორციელეს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ფეისბუქმა გააუქმა არაერთი ანგარიში, გვერდი თუ ჯგუფი „კოორდინირებული, არაავთენტური ქმედების“ გამო.[21] ყველა ეს შემთხვევა ფეისბუქმა, რომელიც შემდგომში ახალი მშობელი კომპანიის, Meta-ს სახელით არის ცნობილი, ამგვარი ინფორმაციის წაშლის საჭიროება არაავთენტური ქცევის საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების რისკებით ახსნა.

2019 წელს ფეისბუქმა წაშალა ყალბი ანგარიშები, რომელთგან ზოგიერთი მანამდეც გაუქმებული იყო ავტომატური სისტემით, რადგან ისინი მეტი სოციალური ჩართულობისთვის პოზიციონირებდნენ როგორც საქართველოს ახალი ამბების ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საჯარო პირები თუ აქტივისტური ჯგუფები. ფეისბუქის უსაფრთხოების პოლიტიკის უფროსმა, ნათანიელ გლეიჩერმა ახსნა, თუ როგორ პოსტავდნენ ადგილობრივი ნიუსების და პოლიტიკური საკითხების შესახებ, მათ შორის არჩევნებზე, მთავრობის პოლიტიკაზე, საჯარო პირებზე, ოპოზიციის და ადგილობრივი აქტივისტური ორგანიზაციების კრიტიკაზე, გვერდების ადმინისტრატორები და ანგარიშების მფლობელები.[22] მათი იდენტობების და კოორდინაციის შეფარვის მცდელობის მიუხედავად, ფეისბუქის გამოძიებამ ეს დეზინფორმაცია დააკავშირა „პანდასთან“, საქართველოში მოქმედ სარეკლამო ორგანიზაციასთან და საქართველოს მთავრობასთან. ორი წლის შემდეგ, 2021 წელს Meta-მ განაცხადა, რომ „პანდა“ სამუდამოდ დაიბლოკა ფეისბუქ პლატფორმიდან.[23]

2023 წელს Meta-მ ისევ წაშალა საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტთან ასოცირებული ანგარიშები.[24] Meta-ს კვარტლური ანგარიშის მიხედვით, 80 ფეისბუქ ანგარიში, 26 გვერდი, 9 ჯგუფი და ორი ინსტაგრამ ანგარიში გაუქმდა „კოორდინირებული არაავთენტური ქმედების“ გამო.[25]

ანგარიშის მიხედვით, ქსელი რამდენიმე აპლიკაციას იღებდა მიზანში, მათ შორის ფეისბუქს, ინსტაგრამს და ტიკტოკს, და ორიენტირებული იყო საქართველოს შიდა აუდიტორიაზე. ქსელი ეფუძნებოდა ყალბ ანგარიშებს, რომლებიც ფიქტიურ პიროვნებს განასახიერებდნენ, მართავდნენ გვერდებს და ჯგუფებს, პოსტავდნენ, აკომენტარებდნენ და იწონებდნენ საკუთარ შინაარსებს (კონტენტს), რათა იმაზე უფრო პოპულარულებად წარჩენილიყვნენ, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ.[26] მეტიც, ჯგუფები და გვერდები გამოიყურებოდა როგორც ადგილობრივი, დამოუკიდებელი პროსახელისუფლებო სათემო ჯგუფები. ეს გამოიყენებოდა სრულდღიანი ოპერაციებისთვის, იმისათვის, რათა გაეძლიერებინათ მთავრობის გვერდების მიერ შექმნილი შინაარსის მხარდაჭერა, მთავრობის ოფიციალური პოსტების გადაზიარებით და პროსახელისუფლებო გაშუქებებით.

არაავთენტური ქცევა გრძელდებოდა „უცხოეთის აგენტების“ კანონზე პროტესტის დროსაც 2023 წელს: ანგარიშები აზიარებდნენ ოპოზიციაზე კრიტიკას, რომლებიც პასუხობდნენ

---

[21] Meta (2019). *Removing Coordinated Inauthentic Behavior From Georgia, Vietnam and the US*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/tw9FtUxa. განახლებულია: 25 მარტი. 2024.
[22] იქვე.
[23] იქვე.
[24] Nimmo, B., Gleicher, N. and Franklin, M. (2023). *Quarterly Adversarial Threat Report*, p. 20. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Hw9FuPpp. განახლებულია: 25 მარტი. 2024.
[25] იქვე.
[26] იქვე, 21.

პროტესტებზე განვითარებულ მოვლენებს რეალურ დროში, მათ შორის პოსტავნენ ღამითაც.[27] ეს ოპერაცია შეესაბამებოდა „ქართული ოცნების“ ოფიციალური პირების განცხადებებს. მათ შორის, „ქართული ოცნების“ მაშინდელმა თავმჯდომარემ, და ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პროტესტანტებზე განაცხადა, რომ უცხოეთის გავლენის „მსახურები“ იყვნენ და რადიკალური ოპოზიცია უკრაინის 2014 წლის მაიდანის პროტესტის საქართველოში გადმოტანის მცდელობაში დაადანაშაულა.[28] რუსეთის ოფიციალური პირები მსგავს მესიჯებს ავრცელებდნენ. მაგალითად, ყირიმში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ტვიტერზე გავრცელდა რჩევა ქართველი ხალხის მიმართ, რომ ახსოვდეთ 2014 წელს უკრაინაში მომხდარი მოვლენები და მისი შედეგები.[29] მეტიც, სახელმწიფოს მიერ მართული რუსული მაუწყებლის RT-ს მთავარი რედაქტორის, მარგარიტა სიმონიანის ტელეგრამ პოსტის მიხედვით, საქართველოში პროტესტები მიზნად ისახავდა რუსეთისთვის მეორე ფრონტის გახსნას.[30]

საერთო ჯამში, Meta-ს ძალისხმევით ჩატარებული ანალიზი, რომელიც მიმართული იყო ხელისუფლების მიერ ინიცირებული დეზინფორმაციის და არაავთენტური ქცევის წინააღმდეგ, ადასტურებს კოორდინირებული ჯგუფების არსებობას, რომელთა მიზანია საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებზე ქართველ ამომრჩეველში საჯარო აზრზე გავლენის მოხდენა. ზოგჯერ ეს მცდელობები ხელისუფლების მიერ არის დაფინანსებული და ორკესტრირებული. სათემო ორგანიზაციებზე Meta-ს დამოკიდებულების მიუხედავად, იმისათვის, რათა დარეპორტდეს და გამოვლინდეს ყალბი ინფორმაცია, სოციალურ მედიაში მისი გავრცელების მასშტაბის გამო, ყოველთვის არ არის შესაძლებელი არაავთენტური ქმედების მაგალითების ამოცნობა. თუმცა ზოგიერთი მაგალითი ამ მასშტაბებს, მთავარ აქტორებს, და დეზიფორმაციის კამპანიის ტაქტიკებს ავლენს, იმაზე მითითებით, რომ ხელისუფლება მზად არის ჩაერთოს ფარულ საინფორმაციო ოპერაციებში ოპოზიციური ძალების შესავიწროებლად და საჯარო აზრზე ზემოქმედების მოსახდენად.

4. დეზინფორმაცია - ეროვნული მონიტორინგი

საქართველოს აქტიური სამოქალაქო სექტორი ასევე უწევს მონიტორინგს დეზინფორმაციის კამპანიას და სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) ასევე შეისწავლა Meta-ს ქმედებები სამთავრობო ანგარიშების წინააღმდეგ,[31] რომელზეც ხელისუფლების სტრატეგიული კომუნიკაციების გუნდს პასუხი არ ჰქონია.

2023 წლის ზაფხულში, ISFED-მა გამოავლინა სპეციფიკური ონლაინ აქტივობები, მიმართული ახალგაზრდა ქართველებში პროპაგანდის გავრცელებისკენ.[32] ოპოზიციის წინააღმდეგ

---

[27] იქვე.

[28] Civil Georgia (2023). *ოცნება: კობახიძე საუბრობს „აგენტების რევოლუციაზე“, „მადლობა ჰოლიციას“*. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/529711. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[29] Digital Forensic Research Lab (2023). *The Kremlin and Georgian Dream spread similar narratives about protests in Georgia*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/7w9Ffkom. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[30] იქვე.

[31] სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (2023). *„სამთავრობო დაწესებულებების სტრატეგიული კომუნიკაციის ფეისბუქ გვერდების მონიტორინგის შედეგები“.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Qw9FjYBU. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[32] სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (2023). „დისკრედიტაცია და პროპაგანდული მესიჯები ფეისბუქზე 7-20 ივნისი“, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/jw9FktpW. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

მოქმედ ანონიმურ გვერდებზე ვრცელდებოდა ვიდეოები, რომლებიც ე.წ. "Gen Z" თაობისთვის იყო გამიზნული. მიზანი იყო მათი დარწმუნება, რომ აშშ-ის საელჩო ახალგაზრდებს სათემო ორგანიზაციების მეშვეობით მართავს და სხვადასხვა გზით რთავს პოლიტიკურ პროცესში. ვიდეოების თანახმად, აშშ იგონებს სხვადასხვა თემას ახალგაზრდა თაობის პროტესტისთვის. ვიდეოებში ასევე აცხადებდნენ, რომ აშშ-ის მაშინდელი ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი, კოორდინაციას უწევდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ავალებდა მათ, გაევრცელებინათ კონკრეტული მესიჯები სოციალურ ქსელებში და ტელევიზიის საშუალებით. აქვე ვარაუდობდნენ, რომ ეს ორგანიზაციები სოციალურ ქსელებში აქტიურ ცნობილ პიროვნებებს იყენებდნენ ამ მესიჯების გასავრცელებლად.

ვიდეოებში გამოყენებული იყო დეზინფორმაციის გასავრცელებელი მთელი რიგი კარგად დამკვიდრებული პროპაგანდისტული ტექნიკები. ამავე ვიდეოებში ამტკიცებდნენ, რომ 2023 წლის მარტის „უცხოური აგენტების“ კანონპროექტის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქცია ამერიკელი დონორების დაკვეთილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ვიდეოებში რუსეთი საქართველოს მტრად იყო აღიარებული, ასევე განიხილავდნენ, რამდენად სურდა ამერიკას ინდივიდუალური თავისუფლებების შეზღუდვა. კიდევ ერთი ვიდეო, რომელიც ანონიმურ გვერდებზე ცირკულირებდა, ეხებოდა ახალგაზრდა კაცს, რომელსაც უნდოდა თავის დამკვიდრება საზოგადოებაში და ფულის გამომუშავება. ამისთვის, მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ, მან დაიწყო მუშაობა სამოქალაქო ორგანიზაციაში და დადიოდა პროტესტებზე. ვიდეო შეიცავდა ჰომოფობიურ შინაარსსაც.

მთავრობის 2017-2020 წლების კომუნიკაციის სტრატეგია ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების შესახებ, აღიარებდა რუსეთის ჩართულობას პროპაგანდაში, რომელიც მიმართული იყო საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგ. აქ გაცხადებული იყო, რომ რუსეთი განაგრძობდა საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებში, ისევე როგორც ნატოს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, საინფორმაციო ომს იმგვარად, რომ ის საფრთხეს უქმნიდა ევროპულ და ევროატლანტიკურ ერთობას. „რუსეთის ფედერაციის პროპაგანდა და დეზინფორმაციის კამპანია მიზნად ისახავს, დაასუსტოს საზოგადოებრივი ერთობა ამ ქვეყნებში, მოახდინოს დასავლური ღირებულებების დისკრედიტირება და შეამციროს მხარდაჭერა ნატოს და ევროკავშირის მიმართ“.[33]

2018 წელს, მთავრობამ გადაწყვიტა, ანტიდასავლური პროპაგანდის გავლენების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ყველა სამინისტროში შეექმნა სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეული. ამ ფორმალური აღიარების მიუხედავად, სახელმწიფოს არ გადაუდგამს პროაქტიული ნაბიჯები დეზინფორმაციის ქმედითად დასამარცხებლად. ამის ნაცვლად, ჩანს, რომ ამ სტრუქტურული ერთეულების უმრავლესობა დაკავებულია რუტინულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეობით. მეტიც, არსებობს იმის რისკი, რომ ეს ერთეულები თავად ხელისუფლების მიერ მეტი დეზინფორმაციის კამპანიის გასავრცელებლად გამოიყენება. ამის ნათელი მაგალითია მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, რომელიც Meta-მ არაავთენტურ მედიაჯგუფთან და გვერდებთან დააკავშირა 2023 წელს, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

[33] საქართველოს მთავრობა (2017). საქართველოს მთავრობის 2017-2020 წლების სტრატეგია ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს წევრობის შესახებ კომუნიკაციის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/pw9Fx9cS. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

ზოგადად, საქართველოში კვლავ მწვავედ დგას დეზინფორმაციის პრობლემა, და საერთაშორისო სოციალური მედიაკომპანიების ნაბიჯები არ არის საკმარისი ამ პრობლემის შესაჩერებლად. მეტიც, დეზინფორმაციასთან ბრძოლაში მთავრობის ფრაგმენტული ნაბიჯები და დეზინფორმაციის ოპერაციებში თავად მისი ჩართულობა ადასტურებს დეზინფორმაციასთან ბრძოლის რეალური პოლიტიკური ნების არარსებობას. შემდეგ თავში განვიხილავთ დეზინფორმაციის საწინააღმდეგო სხვა ინიციატივებს.

5. საქართველო – ინიციატივები დეზინფორმაციის წინააღმდეგ

კვლევის ფარგლებში, საქართველოში დეზინფორმაციასთან ბრძოლის სხვადასხვა ინიციატივა მოვიძიეთ. საქართველოს პარტნიორები, მათ შორის აშშ, რომლისთვისაც ეს მთავარი პრიორიტეტია, ცდილობენ, მხარი დაუჭირონ დეზინფორმაციის საწინააღმდეგო ინიციატივებს. თუმცა, გარე ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ ზომებს, მათ შორის USAID-ის გრძელვადიან პროექტებს, დეზინფორმაცია ჯერ არ შეუმცირებია. მეტიც, საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტისთვის დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერას ხელი არ შეუშლია მთავრობისთვის, გამოეყენებინა Meta-ს პლატფორმები ზეგავლენის ოპერაციების განსახორციელებლად.

ქართველმა აქტორებმა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის „მთლიანი საზოგადოების“ მიდგომის (whole-of-society approach) საჭიროება გამოავლინეს. 2021 წელს, საქართველოს რეფორმების ასოციაციამ (GRASS) შექმნა კოალიცია ინფორმაციული სანდოობისთვის. რვა სამოქალაქო ორგანიზაციისგან შემდგარი ახალი ჯგუფი მუშაობს, რათა შექმნას დეზინფორმაციასთან ბრძოლისუნარიანი საზოგადოება. კოალიციამ შეისწავლა, რომ დეზინფორმაცია აფერხებს ან ანელებს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, და რომ საზოგადოების ყველა აქტორმა ერთად უნდა იმუშაოს ამასთან გასამკლავებლად, მათ შორის მთავრობამ, მედიამ, კერძო სექტორმა და სამოქალაქო საზოგადოებამ.[34]

2019 წელს მედიის განვითარების ფონდმა (MDF)[35] შექმნა „მითების დეტექტორი“ - ფაქტების შემოწმების სერვისი, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას არასწორი ინფორმაციის თაობაზე.[36] გერმანული მარშალის ფონდის მხარდაჭერით შექმნილი პროექტი ასევე კონცენტრირებულია მედიაწიგნიერებაზე, მედიის წიგნიერების პროგრამის და პლატფორმის განვითარებაზე[37] და ქმნის ცოდნას ახალგაზრდებს შორის მითების დეტექტორის ლაბორატორიის გზით. MDF-ის მიდგომა ინკლუზიურია, რადგან მონაწილეებისთვის არ არის აუცილებელი ჰქონდეთ ჟურნალისტური გამოცდილება, ისინი ღია სააპლიკაციო პროცესის საშუალებითაც შეირჩევიან.[38]

---

[34] საქართველოს რეფორმების ასოციაცია (2021). *კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის – ერთად დეზინფორმაციის წინააღმდეგ*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/mw9BJLSSგანახლებულია: 25 მარტი. 2024.

[35] მედიის განვითარების ფონდი. ხელმისაწვდომია: https://www.mdfgeorgia.ge/eng/home. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[36] მითების დეტექტორი. ხელმისაწვდომია: https://mythdetector.ge/en/. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[37] Deutsche Welle (2019). *Busting myths in the Georgian media.* ხელმისაწვდომია: https://akademie.dw.com/en/. ა განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[38] შერჩეული მონაწილეები კვირაში ერთხელ მონაწილეობენ მედიაწიგნიერების 3,5-თვიან პროგრამაში, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნას დემოკრატიულ საზოგადოებებში მედიის როლისა და ფუნქციის, მედიაეთიკის, მედიის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ და მულტიმედიური შინაარსის წარმოებისთვის საჭირო

აშშ-ის პერსპექტივიდან, USAID-ის დახმარება ეფუძნება საქართველოს მდგრადობის პროაქტიული გაძლიერების საჭიროებას მარგინალური გავლენების წინააღმდეგ და დემოკრატიული მიღწევების კონსოლიდაციას, მოქალაქეების მიმართ ანგარიშვალდებული მთავრობის გაძლიერებით. USAID მხარს უჭერს საქართველოში „მთლიანი საზოგადოების" მიდგომის განვითარებას ყველა ტიპის დეზინფორმაციასთან საბრძოლველად, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერებით, რათა მათ ერთობლივად განავითარონ ინოვაციური, პროაქტიული და ეფექტიანი გზები საინფორმაციო სფეროს დასაცავად.[39]

დიდი ბრიტანეთი 2017 წლიდან უჭერს მხარს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების გუნდს და კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს მობილიზებული მას შემდეგ. დიდი ბრიტანეთი, საპარლამენტო განხილვების მიხედვით, მხარს უჭერს მთავრობის სტრატეგიულ კომუნიკაციებს,[40] მაგრამ Meta-მ აღმოაჩინა სტრატკომის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული არაავთენტური ქსელების მუშაობის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მრავალმხრივი და დაუღალავი მცდელობების მიუხედავად, ებრძოლონ დეზინფორმაციას, მათი ძალისხმევა ფრაგმენტული და მოკლევადიანია, რადგან ისინი დონორების დაფინანსებაზე არიან დამოკიდებულნი. მეტიც, არ არის თანმიმდევრული თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და სახელმწიფოს შორის, რაც აზიანებს დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითობას ფართომასშტაბიან პერსპექტივაში.[41]

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება მოითხოვს ბალანსის დაცვას ინფორმაციის სანდოობის შენარჩუნებასა და გამოხატვის თავისუფლების დაცვას შორის. იმპერატიულია, რომ მთავრობის საქმიანობისთვის პრიორიტეტული გახდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოება და არა პარტიული დღის წესრიგი და არასახელისუფლებო აქტორებთან თანამშრომლობა. რუსულ ჰიბრიდულ საფრთხეებთან და უცხოურ გავლენებთან გამკლავებაში ბალტიისპირეთის სახელმწიფოების

გადამოწმების ინსტრუმენტებსა და უნარებს. მითების დეტექტორის ლაბორატორიაში ბოლო სამ წელში 109 სტუდენტი მონაწილეობდა, რომლებმაც შექმნეს 256 ფაქტის შემოწმების სტატია, ასევე 46 მულტიმედია შინაარსი. ეს შედეგები ასახულია ევროკავშირის 'EUvsDisinfo' საიტზე და ლაბორატორიის დასრულების შემდეგ, ალუმნები განაგრძობენ საჯარო სივრცეში აქტიურობას როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ, მონაწილეობენ ყალბი ინფორმაციის გამოვლენაში ან თვითრეგულირებული საჩივრების ფორმატის გზით მედიის წინააღმდეგ საჩივრების ინიცირებაში.

[39] USAID/საქართველომ 2020 წელს გამოაცხადა „საქართველოს საინფორმაციო მთლიანობის პროგრამა", ხუთწლიანი ინიციატივა 2020 წლიდან 2025 წლამდე, რომელიც მიზნად ისახავს დეზინფორმაციის მიმართ საზოგადოების მდგრადობის ჩამოყალიბებაში საქართველოს დახმარებას. ეს ინიციატივა მხარს უჭერს GRASS ინიციატივას. ასევე, ის აძლიერებს ეროვნული ორგანიზაციების ქსელს, რომლებიც იბრძვიან საქართველოში დეზინფორმაციის წინააღმდეგ, რათა საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ წვდომა ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციაზე. ამ შიდა პარტნიორებთან თანამშრომლობით, USAID-ს შეუძლია ადგილობრივი ექსპერტიზის გამოყენება და განვითარების პროცესებში ადგილობრივი აქტორების ჩართვა.

[40] Lord Ahmad of Wimbledon. "We expect the UK to play a leading role in the framework of this additional [NATO]package, supporting strategic communications and cyberdefence" in Hansard, Lords Chamber, 'Russia in Georgia', Volume 825: debated on Wednesday 16 November 2022ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Fw9FRVHZგანახლებულია: 25 მარტი. 2024.

[41] Tsitsikashvili, M. (2019). *Comparing Lessons Learned from Countering Russian Disinformation in Georgia and the Czech Republic.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Lw9FY4Bs. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

გამოცდილების გათვალისწინების შემთხვევაში, საქართველოს მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება შეუძლია.

ბალტიისპირეთის მთავრობები დეზინფორმაციასთან და საინფორმაციო ოპერაციებთან საბრძოლველად სისტემური სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელებას ჯერ კიდევ 2007 წელს შეუდგნენ, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ესტონეთზე ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა განახორციელა.[42] ბალტიისპირეთის ქვეყნებმა დააარსეს სპეციალიზებული ინსტიტუტები და სამუშაო ჯგუფები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყალბი ინფორმაციის მონიტორინგს, ანალიზს და ებრძვიან ყალბ ნარატივებს. მაგალითად, ესტონეთმა შექმნა კიბერ დაცვის ლიგა, IT სპეციალისტების მოხალისეობრივი ჯგუფი, რომელიც აზიარებდა საფრთხეების შესახებ ინფორმაციას და აძლიერებდა საზოგადოებრივ მედეგობას კიბერ ინციდენტების მიმართ.[43] ლატვიის სახელმწიფო ინსტიტუტები ასევე თანამშრომლობდნენ სამოქალაქო საზოგადოების და მედიაორგანიზაციებთან დეზინფორმაციასთან საბრძოლველად. ამ მიმართულებით ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი (STRARCOM COE) უზრუნველყოფს თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოებასა და ლატვიის მთავრობას შორის.[44] ბალტიის მედიაორგანიზაციები ასევე პროაქტიულად ებრძვიან დეზინფორმაციას პროფესიული ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით, ფაქტების შემოწმების პრაქტიკით, და ფაქტების შემოწმების საერთაშორისო ქსელთან თანამშრომლობით. ისინი ასევე ატარებენ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს მოსახლეობის დეზინფორმაციის ტაქტიკებზე ცოდნის ამაღლების მიზნით და ახალისებენ კრიტიკული მედიის გამოყენებას. ტექნოლოგიური კომპანიები და უნივერსიტეტები ასევე აქტიურად არიან ჩართულები ყალბი ინფორმაციის გამოვლენასა და წაშლაში და ასევე ქმნიან ხელოვნური ინტელექტის მეთოდებს მის ამოსაცნობად და შესამცირებლად.[45]

ბალტიის სახელმწიფოების პოლიტიკა უსაფრთხოების და დეზინფორმაციისთან ბრძოლის მიმართულებით „მთლიანი საზოგადოების“ მიდგომის ნათელი მაგალითია, რომელიც მიუთითებს კოორდინირებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე სხვადასხვა აქტორს შორის. თანამშრომლობის ეს მოდელი მოიცავს სახელმწიფო ორგანოებს, მედიას, სამოქალაქო საზოგადოებას, კვლევით ინსტიტუტებს და კერძო კომპანიებს. დეზინფორმაციულ თავდასხმებზე უბრალო რეაქტიული რეაგირების ნაცვლად, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციონალიზება მოახდინეს და მიიღეს გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებულია მედეგობის განვითარებაზე, კრიტიკული აზროვნებისა და მედიაწიგნიერებისა და მოქალაქეების გაძლიერებაზე, დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ დეზინფორმაციას.

6. საერთაშორისო გამოსავლები

არაკომერციული ინიციატივები

---

[42] Thompson, T. (2019). *Countering Russian disinformation the Baltic nations' way.* The Conversation. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Mw9FSGjW. განახლებულია: 25 მარტი . 2024.

[43] Teperik, D., Denisa-Liepniece, S., Bankauskaitė, D. and Kullamaa, K. (2022). *Resilience Against Disinformation A New Baltic Way to Follow?* ხელმისაწვდომია:: https://cutt.ly/mw9FZigjგანახლებულია: 25 მარტი. 2024.

[44] იქვე.

[45] Tech Soup (2023). *Disinformation and Civil Society Mapping Report: Baltic Region.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Cw9FHQYL. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

რამდენიმე არაკომერციული ინიციატივა ცდილობს დეზინფორმაციის გამოვლენას, მასზე მითითებას და წინააღმდეგობას. EU Disinfo Lab გვაწვდის ინფორმაციას დეზინფორმაციული კამპანიებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტებზე.[46]

ატლანტიკური საბჭოს DFRLab-მა[47] წამოიწყო მონიტორინგისა და ინოვაციების მხარდასაჭერი ინიციატივები, რომელთა მიზანია, წინ გაუსწროს დეზინფორმაციულ კამპანიებს და შეამსუბუქოს მათი ზემოქმედება. ამაში იგულისხმება შესაძლებლობების განვითარება „ფაქტჩექერების" ტრენინგებით[48] და ინსტრუმენტები, სოციალურ მედიაში, მაგალითად, Facebook-ზე[49] და რებრენდირებულ Twitter-ზე, დეზინფორმაციის თავიდან ასაცილებლად. DFRLab ასევე ადევნებს თვალს საქართველოსაც და ავლენს დეზინფორმაციას და გავლენების საწინააღმდეგო ოპერაციებს.[50]

პარალელურად, არაკომერციული ორგანიზაციები სულ უფრო მეტად ეძებენ საჯარო ნდობისა და უსაფრთხოების ინსტრუმენტების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს. DFRLab ამტკიცებს, რომ უფრო ეფექტიანმა, ღიად ხელმისაწვდომმა ინსტრუმენტებმა შეიძლება შეამცირონ ბარიერები მცირე და საშუალო ზომის სუბიექტებისთვის, რომლებიც ცდილობენ უფრო ძლიერი ნდობისა და უსაფრთხოების პრაქტიკის ჩამოყალიბებას. მათ ასევე მოამზადეს კვლევა, რომელიც ორიენტირებულია ნდობის გაზრდაზე ონლაინ გარემოში.[51]

ტრეინინგ კურსები

საერთაშორისო დეზინფორმაციული ოპერაციების გავრცელებამ წაახალისა კურსების შემუშავება დეზინფორმაციის გამოვლენისა და წინააღმდეგობის მიზნით. მაგალითად, ალპეროვიჩის ინსტიტუტი SAIS Hopkins-ში სტუდენტებს სთავაზობს სპეციალურ კურსს თემაზე, „გავლენის ოპერაციები ციფრულ ეპოქაში.[52] კურსი მიმოიხილავს, თუ როგორ იყენებენ ყალბ და შეცდომაში შემყვან ინფორმაციას და პიროვნებებს იარაღად საზოგადოებრივი აღქმების ფორმირებისთვის, გეოპოლიტიკური სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, ფინანსების მოსახვეჭად და ინფორმაციული გარემოს დასაბინძურებლად. გარდა ამისა, კურსი ასახავს ახალ ინსტრუმენტებს, რომლებსაც სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები იყენებენ და შეისწავლის ანტიდეზინფორმაციული კამპანიების ეფექტიანობას საჯარო დიალოგის ფორმირების დროს. კურსი ასევე შეისწავლის რეგულატორულ, დიპლომატიურ, ტექნოლოგიურ, და საზოგადოებრივ ჩარევებს, რომლებიც მიზნად ისახავს ინფორმაციული გარემოს დაცვას და აფასებს მათ ეფექტიანობას.

ევროპული მიდგომა - კონტრდეზინფორმაცია, როგორც პრიორიტეტი

ევროკავშირი, როგორც საქართველოს მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორი, ამჟამად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში. რამდენიმე წლის განმავლობაში,

---

[46] EU Disinfo. ხელმისაწვდომია: https://www.disinfo.eu/. განახლებულია: 25 მარტი.. 2024.
[47] Digital Forensic Research Lab. ხელმისაწვდომია: https://dfrlab.org/. განახლებულია: 25 მარტი. 2024.
[48] Digital Sherlocks. ხელმისაწვდომია: https://www.digitalsherlocks.org/trainings. განახლებულია: 25 მარტი. 2024.
[49] Code for Africa (2021). *Tools + Tech: How DFRLab cracks cases of disinformation*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Rw9FBDsn. Accessed 25 Mar. 2024.
[50] Digital Forensic Research Lab. *Tagged in Georgia*. ხელმისაწვდომია: https://medium.com/dfrlab/tagged/georgia. განახლებულია: 25 მარტი. 2024.
[51] Atlantic Council (2023). *Annex 2: Building Open Trust and Safety Tools.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/aw9FNmVh. განახლებულია: 25 მარტი.. 2024.
[52] Alperovitch Institute. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/dw9B5V3t. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

ევროკავშირი ცდილობდა შეექმნა დამატებითი ინსტრუმენტები დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ და 2018 წელს ჩამოაყალიბა სამოქმედო გეგმა დეზინფორმაციის წინააღმდეგ.[53] ევროპული ინსტიტუტები პრიორიტეტს ანიჭებენ კოორდინირებულ და ეფექტიან რეაგირებას დეზინფორმაციულ გამოწვევაზე. ევროპარლამენტმა მოამზადა საკითხის გზამკვლევი.[54] ევროკავშირის საგარეო მოქმედების სამსახური (EU External Action Service) ასევე ამახვილებს ყურადღებას დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე უცხოური ინფორმაციის მანიპულაციისა და ჩარევის თვალსაზრისით.[55] ეს განყოფილება იკვლევს ევროკავშირის თანამედროვე მიდგომას დეზინფორმაციასთან საბრძოლველად.

2022 წლისთვის, ევროკავშირის „სტრატეგიული კომპასი თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის"[56] დეზინფორმაციას, არჩევნებსა და სხვა შიდა პოლიტიკურ პროცესებში საგარეო ჩარევასთან ერთად, „ახალი სამყაროს საფრთხის" ნაწილად ასახელებდა. „კომპასმა" აღიარა ევროკავშირის შესაძლებლობების გაზრდის საჭიროება კიბერ საფრთხეებთან, დეზინფორმაციასთან და უცხოურ ჩარევასთან, ასევე ინფორმაციულ მანიპულაციებთან გასამკლავებლად და დეზინფორმაციას ერთი სექცია მიუძღვნა.

„კომპასი" ყურადღებას ამახვილებს „უცხოური საინფორმაციო მანიპულაციების და ჩარევის ინსტრუმენტების" გამოვლენის გეგმის განვითარებაზე, დეზინფორმაციული საფრთხეების აღმოჩენის, ანალიზისა და რეაგირებისთვის, ასევე, დამნაშავეებისთვის შესაბამისი სანქციების დასაწესებლად. მეტიც, „კომპასი" საუბრობს თავის განზრახვაზე, შექმნას შესაბამისი მექანიზმი, რომელიც სისტემატურად მოაგროვებს მონაცემებს ინციდენტების შესახებ „მონაცემთა სივრცის" საშუალებით, რათა განავითაროს უცხოური საინფორმაციო მანიპულაციის და ჩარევის საერთო გაგება. „ჰიბრიდული ინსტრუმენტების და რეაგირების გუნდების" შექმნის ვალდებულება აერთიანებს სხვადასხვა ინსტრუმენტს ჰიბრიდული საფრთხეების ფართო სპექტრის გამოსავლენად და მასზე რეაგირებისთვის. კერძოდ, „კომპასი" აღნიშნავს აღმოსავლეთ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობას მტრული ჩარევის წინააღმდეგ მედეგობის გასაძლიერებლად.

როგორც ევროკავშირის მჭიდრო პარტნიორებთან, ევროკავშირი გააძლიერებს დიალოგს და თანამშრომლობას უკრაინასთან, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკასთან, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგობა, დეზინფორმაცია და კიბერუსაფრთხოება.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის საპასუხოდ, ევროკომისიამ გამოავლინა თორმეტი პრიორიტეტი, რომელზეც ქვეყანამ უნდა იმუშაოს.[57] ევროკავშირმა საგანგებოდ მიუთითა, რომ ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია არის

---

[53] The Diplomatic Service of the European Union (2018). *Action Plan against Disinformation*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Zw9F1bs4. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[54] European Parliament (2020). *Mapping Fake News and Disinformation in the Western Balkans and Identifying Ways to Effectively Counter Them.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/7w9F0mlv. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[55] The Diplomatic Service of the European Union (2021). *Tackling Disinformation, Foreign Information Manipulation & Interference*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/vw9F2gcK. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[56] The Diplomatic Service of the European Union (2022). *A Strategic Compass for Security and Defence.* Available at: https://cutt.ly/Hw9F9SEG. Accessed 25 Mar. 2024.

[57] European Commission (2023). *Georgia 2023 Report.* Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, გვ. 9. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Pw9NobTs განახლებულია: 25 მარტი. 2024.

გამოწვევა და საქართველომ, ჰიბრიდული და კიბერმდგრადობის გასაძლიერებლად, უნდა შეცვალოს მთელი საზოგადოების მიდგომა.[58]

ევროკომისია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ ანგარიშში ასევე აცხადებს, რომ „საქართველომ უნდა გააძლიეროს თავისი ქმედებები ისეთი დეზინფორმაციისა და უცხოური ინფორმაციის მანიპულაციის წინააღმდეგ, რომელიც მიემართება ევროკავშირის ღირებულებებს და გააუმჯობესოს ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან შესაბამისობის მაჩვენებელი.[59]

ევროკავშირმა უკვე შეიმუშავა ინსტიტუციური გადაწყვეტილებები დეზინფორმაციის საკითხებზე საპასუხოდ. ევროკავშირის აღმოსავლეთის სტრატეგიული კომუნიკაციების სამუშაო ჯგუფი (EU East Stratcom Task Force) აზიარებს ყოველკვირეულ დეზინფორმაციულ საინფორმაციო ბიულეტენს. მან ასევე შექმნა ვებგვერდი აქტუალური ამბების, ანალიზისა და საფრთხეების შესახებ ცნობებით.[60]

მის უშუალო სამეზობლოში, ევროკავშირმა წამოიწყო კონტრდეზინფორმაციული კამპანიები, რომლებიც დაკავშირებულია პარტნიორობის, ასოცირებისა და გაწევრიანების კონტექსტთან. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთ ბალკანეთში ევროკავშირის მდგრადობის დღის წესრიგის ნაწილია,[61] რომელიც მოიცავს ოთხ განზომილებას 2020-2021 წლებში: კვლევა, შესაძლებლობების განვითარება, სოციალური მედიის კამპანიები და წიგნიერების კონფერენცია. ეს აქტივობები არის ევროკავშირის დემოკრატიის სამოქმედო გეგმის ნაწილი, და აქვს სამი მიმართულება:[62] სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების მხარდაჭერა, მედიის თავისუფლების და პლურალიზმის გაძლიერება, დეზინფორმაციასთან ბრძოლა.

ევროკავშირი ასევე აღიარებს ახალი სტრატეგიის აუცილებლობას, რომელიც გააძლიერებს ძირითად უფლებათა ქარტიის, მედიისა და აუდიოვიზუალური სამოქმედო გეგმის გამოყენებას, ისევე როგორც ევროკავშირის მასშტაბით თანასწორობის ხელშეწყობისა და დასაცავად მიღებული ზომები იქნება ევროპული დემოგრატიის მთავარი ბიძგი ციფრული ეპოქის გამოწვევების მიმართ. დემოკრატიის წინაშე აღებული ვალდებულებები ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ნაწილია და ასევე, სამეზობლოსთან ურთიერთობაში გაწევრიანების პოლიტიკის მთავარი მიმართულებაა.[63]

ამ დროისთვის, ევროკავშირი ფლობს დეზინფორმაციის საწინააღმდეგო სხვადასხვა ინსტრუმენტს. ევროპის ციფრული მედიის ობსერვატორია (EDMO)[64] იმ მიზნით შეიქმნა, რომ

---

[58] იქვე. გვ. 11.

[59] European Commission (2023). *2023 Communication on EU Enlargement Policy.* Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, p.24. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/pw9NsDpb. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[60] The Diplomatic Service of the European Union (2021). *Questions and Answers about the East StratCom Task Force*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/zw9NzkBy. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[61] The Diplomatic Service of the European Union (2022). *Countering disinformation and building societal resilience*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Ow9Ncuu7. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[62] European Commission (2020). *European Democracy Action Plan: making EU democracies stronger.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Xw9NvKM7. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[63] European Commission (2020). *2020 Rule of law report - Communication and country chapters*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Xw9NnpdS. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[64] European Digital Media Observatory. *The Importance of Media Literacy in Countering Disinformation – EDMO.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Tw9NWbDuგანახლებულია: 25 მარტი. 2024.

გაეზარდა მოქალაქეების წვდომა საიმედო ინფორმაციაზე. ევროკავშირმა ასევე შექმნა მედიაწიგნიერების სახელმძღვანელო ტრენერებისთვის და მასწავლებლებისთვის".[65]

პარალელურად, ევროპის საბჭომ ჩამოაყალიბა დამატებითი კურსები პროპაგანდის, დეზინფორმაციისა და ყალბ ამბებზე რეაგირებისთვის, ახალგაზრდებსა და ბავშვებზე აქცენტით. საბჭო ფოკუსირებულია კამპანიებზე სკოლებში, იმისათვის, რათა ახალგაზრდებს მიაწოდოს კრიტიკული და საინფორმაციო უნარები, რასაც სახლში ვერ მიიღებენ[66] და შექმნას ციფრული მოქალაქის სახელმძღვანელო ბავშვებისთვის.[67]

მთლიანობაში, ინიციატივების ფართო სპექტრი, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ასახავს საფრთხის მასშტაბებს.

7. დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოების გამოწვევა

დეზინფორმაციასთან ბრძოლა საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრიორიტეტული საკითხია, რადგან დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელება იწვევს საზოგადოებაში განხეთქილებას, იყენებს საზოგადოების წუხილებს, დესტაბილიზაციას ახდენს საშინაო პოლიტიკაში და საზოგადოებას უფრო დაუცველს ხდის უცხოური მავნე საფრთხეების წინაშე.[68] მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება მნიშვნელოვანია, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება თანამშრომლობდეს მთავრობასთან დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების კონტექსტში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" ასევე აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების განზომილება დეზინფორმაციის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მის რეკომენდაციებს შორის, TI საქართველო აზუსტებს, რომ კრიტიკულია დეზინფორმაციასა და უსაფრთხოებაზე სტრატეგიული დოკუმენტების განახლება (ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ეროვნული სტრატეგია, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია) იმისათვის, რათა სახელმწიფომ უპასუხოს მზარდი დეზინფორმაციის საფრთხეებს და თანამედროვე გამოწვევებს.[69]

ასევე მნიშვნელოვანია ამ საკითხებზე აქტიურ საერთაშორისო პირებთან თანამშრომლობა. მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ გაერთიანებული სამეფო მხარს უჭერს სამთავრობო სტრატეგიული კომუნიკაციების გუნდს - რაზეც Meta-მ დაადგინამ, რომ სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი არაავთენტურ საქმიანობაშია ჩართული - საერთაშორისო საზოგადოებამ ფრთხილად უნდა აირჩიოს, რომელ სამთავრობო ინსტიტუტებს დაუჭიროს მხარი.

---

[65] European Union Digital Skills and Jobs Platform (2021). *Media Literacy Toolkit for Educators and Training Providers*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Mw9NRjgV. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[66] Council of Europe. *Dealing with Propaganda, misinformation and fake news.* ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/pw9S5Dib. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[67] Council of Europe. *Digital citizenship education handbook - Being Child in the Age of Technology*. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/6w9NYjMn. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

[68] პოსტსიმართლის პოლიტიკის, როგორც ჰიბრიდული ინფორმაციის გავლენის ზეგავლენა საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობაზე, ინტერპრეტაციის ატრიბუტები და კონტრქმედების მექანიზმების ძიება, გვ. 11.

[69] დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში - სახელმწიფო მიდგომა და კონტრზომები.

და ბოლოს, საქართველომ უკვე ისარგებლა მედიაწიგნიერებისა და მედიამონიტორინგის არაერთი ინიციატივით. ამ ინფორმაციის წყაროების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ტრენინგებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შეიძლება დაეხმაროს დეზინფორმაციის წინააღმდეგ უფრო მტკიცე მიდგომების ჩამოყალიბებაში.
საუკეთესო გამოცდილებების გამოყენება პრაქტიკაში შეიძლება რთული იყოს. დეზინფორმაცია და პროპაგანდა იმ რეჟიმების პირველი არჩევანია, რომლებიც კონფრონტაციას ეძებენ პირდაპირი საფრთხეების არარსებობის მიუხედავად. - კონტრდეზინფორმაციის პროცესები პრინციპულად ადვილი წამოსაწყებია, მაგრამ პერსონალური თავდახმების მიმდინარეობის ფონზე ძნელია მათი ხანგრძლივად შენარჩუნება. გრძელვადიან პერსპექტივაში, განათლება და მედიაწიგნირება უფრო მნიშვნელოვანია.

საქართველოს კონტექსტში, მნიშვნელოვანია მონაწილეობითი და თანამშრომლობითი პლატფორმების გამოვლენა, რომლებმაც დეზინფორმაციის გამოწვევებზე ევროკავშირის ორგანოებთანაც შეიძლება ითანამშრომლონ. თუმცა ასევე აუცილებელია, რომ არაკომერციული ორგანოები სისტემატურად იბრძოდნენ დეზინფორმაციის წინააღმდეგ. მრავალსექტორული კოალიციის შექმნა, რომელიც ამ ორივეს დააკავშირებს ან უბრალოდ თანამშრომლობას გააძლიერებს, შეიძლება იყოს პირველი ნაბიჯი, და ეს იდეა ახლა განხილვის პროცესშია.[70]

8. დასკვნა

დეზინფორმაცია გლობალურ პრობლემად რჩება. სახელმწიფოები და საზოგადოებები ცდილობენ, იპოვონ ადეკვატური გამოსავლის გზები. პარალელურად, სოციალური მედიაკომპანიები ეძებენ გზებს, განამტკიცონ თავიანთი შიდა გამოსავლები ამ პრობლემის მოსაგვარებლად. მაშინ, როცა არ არსებობს იდეალური გამოსავალი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, კერძო სექტორს, მთავრობებს და რეგიონულ ორგანიზაციებს შორის პარნტნიორობის განვითარება შეიძლება დაეხმაროს მონიტორინგის გაუმჯობესებას და დეზინფორმაციასთან ბრძოლას.

საქართველო პოლარიზაციის შემცირების სერიოზული გამოწვევის წინაშეა. პარტნიორებთან ერთად გამოსავლის გზების მოძიება, მედიაწიგნიერების და განათლების გაუმჯობესება, და საიმედო საინფორმაციო წყაროების რაოდენობის გაზრდა დაეხმარება პოლარიზაციის ეფექტების შემცირებას.

ნებისმიერი სოციალური საფრთხის მოგვარება კოლექტიური პასუხისმგებლობაა და საზოგადოებებს შეუძლიათ, გაუძღვნენ გამოწვევის გადაჭრისა და გადაწყვეტილებების განხორციელების პროცესს. თუმცა, არსებითია, რომ არასახელმწიფო აქტორების მცდელობებს უნდა შეხვდეს სახელმწიფო უწყებების პოლიტიკური მზაობა. მათ უნდა გააერთიანონ ეს ძალისხმევა და ჩამოაყალიბონ ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც მიზნად დაისახავს დეზინფორმაციის დამარცხებას და გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადი საზოგადოების მშენებლობას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ გამოავლინა უნარი, შეეჩერებინა პროპაგანდა და დეზინფორმაცია და გაეგრძელებინა ინსტიტუტებში გამჭვირვალობისა და

[70] Reichardt, A. (2023). *Can we win the information war?* New Eastern Europe. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/qw9NDhBI. განახლებულია: 25 მარტი. 2024.

ანგარიშვალდებულების მშენებლობა. საზოგადოების გამოწვევებისადმი ინკლუზიური მიდგომის განგრძობადი ძალისხმევის შენარჩუნება შეიძლება რთული იყოს მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ის თავის შედეგს გამოიღებს.

საქართველო, წინა წლებში სახელდებოდა მოწინავე ქვეყნად ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში, მაგრამ ახლა ასოცირდება ჩიხში შესული დემოკრატიის მზარდ ტენდენციასთან. საქართველოს პასუხი დეზინფორმაციაზე, მის თანამედროვე გამოწვევებს შორის ერთ-ერთია, რომელიც მომავალში მის პოლიტიკურ ტრაექტორიას განაპირობებს.